ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 55 (20896) — ᲙᲕᲘᲠᲐ, 5 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1989 ᲬᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲛᲔ-2 ᲒᲕ.

ᲢᲕᲘᲠᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲕᲐᲛᲫᲘᲚᲔᲑᲡ

● ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ვუზიარებთ მოსაზრებებს პარტიის გურ[illegible]ის რაიკომის პლენუმის [illegible]ბ, რომელმაც იმსჯელა [illegible]იმენტის სახით ახალი [illegible]ული კომიტეტების შექ[illegible]საჯაროობის გაფართო[illegible]პირობებში ორგანიზა[illegible]ული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის, არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის გადაუდებელ ამოცანებზე.

ᲛᲔ-3 ᲒᲕ.

ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲚᲔᲛᲔᲑᲘ

● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამთავრობო დემოგრაფიული კომისიის სხდომაზე განიხილეს საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის პროექტი, ახალქალაქის რაიონის ქართულ სოფლებში დემოგრაფიული სიტუაცია და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი, აგრეთვე რაჭის დემოგრაფიული პრობლემები.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘᲓᲐᲜ

● ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ რუსთაველის სახელობის თეატრის წარმატება პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალზე.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲘᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲢᲠᲝᲤᲘ

● ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘ მოხიბლა ბოშური რიტმების სიკისკასემ — თბილისელები მასპინძლობენ მსოფლიოში ერთადერთი ბოშათა მუსიკალურ-დრამატული თეატრის „რომენის“ მსახიობებს ნიკოლოზ სლიჩენკოს ხელმძღვანელობით.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲐ

● ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ გუნდები და მათი სახელები. ამ საკითხს ეძღვნება ჩვენი მკითხველის წერილი „შეცდომა უნდა გასწორდეს“.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 2-3 მარტის სხდომაზე განიხილა საკითხები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მოწყობასთან დაკავშირებით, რომელზეც განიხილავენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან, აგრეთვე განიხილავენ ამოცანებს თანამედროვე პირობებში სკკპ აგრარული პოლიტიკის განსახორციელებლად.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ[illegible]ენებიან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მეორე მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეები და მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, მინისტრები და ცენტრალურ უწყება-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სამხედრო ოლქების სარდლები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატები, რომლებიც არ შედიან სკკპ ცენტრალური ორგანოების შემადგენლობაში, აგრეთვე პარტიის სასოფლო რაიკომების მდივნების, მეურნეობათა ხელმძღვანელების, მოჯარეების, სწავლულებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა მუშაკების ჯგუფი.

პოლიტბიურომ საფუძვლიანად იმსჯელა თანამედროვე პირობებში სკკპ აგრარული პოლიტიკის განხორციელების, ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი განვითარების დოკუმენტების პროექტებზე, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად უნდა გაიტანონ. სხდომაზე აღინიშნა, რომ სოფლად, მოსახლეობის სასურსათო მომარაგების საქმეში შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს რადიკალურ ცვლილებათა განხორციელებას სოფლად სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობებში, მტკიცე უარის თქმას ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებზე. პოლიტბიურომ მხარი დაუჭირა წინადადებებს იმის თაობაზე, რომ წარმოებას ვუძღვებოდეთ საკუთრების მრავალგვარი ფორმებისა და მეურნეობრიობის სახეობების — კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო გაერთიანებების, გადამმუშავებელი საწარმოების, მოჯარეების, კოოპერატივების, საარენდო კოლექტივების, გლეხთა მეურნეობების, მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების შეხამების საფუძველზე. ახალი პირობების შესაბამისად უნდა შეიცვალოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ფორმები და მეთოდები და მთავარი ყურადღება დაეთმოს სრულ სამეურნეო დამოუკიდებლობას, არსებითს ცვლილებებს დაგეგმვაში, წარმოებული პროდუქციისა და შემოსავლის გამოყენებაში. ძლიერდება მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების როლი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებასა და მართვაში.

პლენუმმა უნდა განიხილოს აგროსამრეწველო კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებანი. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროდუქციის გადამუშავების და შენახვის განვითარებას, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის გაუმჯობესებას, დანაკარგების მკვეთრ შემცირებას. დოკუმენტების პროექტებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოფლის სოციალური სფეროს ძირეულ გარდაქმნებს, გზების, საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, საავადმყოფოების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ფართო მშენებლობას, კომუნალური მეურნეობის განვითარებას.

დადგენილებათა პროექტების განხილვაში მონაწილეობდ ნ ე ნ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგრარული პოლიტიკის საკითხთა კომისიის წევრები, აგრეთვე მეცნიერები, საგგმო და სამეურნეო ორგანოების სპეციალისტები. გამოსულმა ამხანაგებმა მთლიანად მოიწონეს შეთავაზებული ღონისძიებანი, ამასთან შეიტანეს მთელი რიგი წინადადებანი სოფლის მეურნეობაში მმართველობის, დაგეგმვის, სტიმულირების, დაფინანსებისა და დაკრედიტების გაუმჯობესების, წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერების, სოფლის სოციალური განვითარების საკითხთა გადაწყვეტის დაჩქარების შესახებ.

განსახილველ საკითხთა გამო სხდომაზე დამოვიდნენ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, აგრეთვე ამხანაგები ვ. ს. მურახოვსკი — სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე, ნ. ა. ნაზარბაევი — ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. კ. მესიაცი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. თ. პონომარიოვი — სკკპ ბელგოროდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. მ. ვოლოდინი — სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. მ. მასალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. კ. პოლოსუხინი — სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, დ. კ. მოტორნი — ხერსონის ოლქის ბელოზერსკის რაიონის ს. მ. კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ვ. ი. კალაშნიკოვი — სკკპ ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ნიკოლოვი — საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ე. ე. სოკოლოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. თ. ტატარჩუკი — სკკპ კალინინის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ს. კ. გროსუ — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. ი. კლეპიკოვი — კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკის რაიონის კოლმეურნეობა „უუბანის“ კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ საჭიროდ ცნო დაიხვეწოს დოკუმენტები მათი განხილვის გათვალისწინებით და შეტანილ იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად.

სხდომაზე მოისმინეს მ. ს. გორბაჩოვის ინფორმაცია უკრაინის სს რესპუბლიკაში მოგზაურობის შედეგებზე. ზრომითს კოლექტივებში, ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობასთან, მუშათა კლასის, სამეცნიერო და მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, რესპუბლიკის პარტიულ აქტივთან მრავალი შეხვედრისა და საუბრის დროს მკაფიოდ გამოვლინდა ადამიანთა აქტიური პოზიცია, მათი მისწრაფება — გაიყვანონ გარდაქმნა ახალ დონეზე, უფრო ფართოდ დანერგონ მისი იდეები პრაქტიკაში. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს პარტიული კომიტეტების საქმიანობა მისი სტილისა და შინაარსის ძირეული გაუმჯობესებისათვის. მოიშორონ უჩვეულო ფუნქციები ოლ მეტი ყურადღება დაუთმონ მუშაობას ადამიანებთან და ადამიანთა საკეთილდღეოდ, პარტიული ცხოვრების შემდგომ დემოკრატიზაციას.

პოლიტბიურომ დაავალა რესპუბლიკის პარტიულ ორგანოებს კომუნისტებს — შესაბამის უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელებს შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი იმ კრიტიკული შენიშვნებისა და საკითხების განსახილველად, რომლებიც აღიძრა მშრომელებთან, პარტიულ და სამეურნეო აქტივთან შეხვედრებისა და საუბრების დროს.

სხდომაზე განიხილეს მ. ს. გორბაჩოვისა და ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ეთიოპიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. ბაიუს საუბრის შედეგები, რომელმაც მ. ს. გორბაჩოვს გადასცა ეთიოპიის ხელმძღვანელის მენგისტუ ჰაილე მარიამის წერილი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ისწრაფვის კიდევ უფრო განავითაროს თანამშრომლობა მეგობარ ეთიოპიასთან, მზად არის ხელი შეუწყოს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ერითრეის პრობლემის სამართლიანი პოლიტიკური გადაწყვეტა ეთიოპიის ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, აფრიკის რქაზე კეთილმეზობლობისა და მშვიდობიანობის ვითარების შექმნა.

მოწონებულია აგრეთვე სსრ კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოსულ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთან, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან ლ. ადამეცთან მ. ს. გორბაჩოვის საუბრისა და ნ. ი. რიჟკოვის მოლაპარაკების შედეგები. მათ კვლავ დაადასტურეს, რომ საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკია ერთნაირად უდგებიან გარდაქმნისა და სოციალისტური განახლების საჭიროებას, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის პრობლემების გადაჭრას, საერთაშორისო ცხოვრებაში ახლებური პოლიტიკური აზროვნების დამკვიდრებას.

სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მიღწეული მორიგებანი, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის 15-20 წლის კონცეფცია ხელშეწყობს პირობებს უქმნის მათი თანამოქმედების პოტენციალის ეფექტიან წარმოჩენას, უახლოესი ხუთწლეულისა და უფრო შორეული პერსპექტივისათვის ქვეყნების განვითარების გეგმების ჩამოყალიბებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორივე მხარე რეალური განაღარიების, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმის ერთგული.

პოლიტბიუროს მოისმინა ა. პ. ბირიუკოვას ინფორმაცია ინდოეთის რესპუბლიკაში სამუშაო ვიზიტის შესახებ. აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა ბოლოდროინდელმა შეხვედრებმა კარგი საფუძველი შეუქმნა სსრ კავშირისა და ინდოეთის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას. საჭიროდ არის მიჩნეული გააქტიურდეს პრაქტიკული მუშაობა არსებულ შეთანხმებათა რეალიზაციისათვის, კერძოდ, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ვაჭრობის დარგში, განვითარდეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის ახალი პროგრესული ფორმები.

პოლიტბიურომ განიხილა ა. ი. ლუკიანოვისა და იაპონიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების საუბრების შედეგები, რომლებიც გაიმართა იმპერატორ ხიროხიტოს დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად წარგზავნილი სსრ კავშირის დელეგაციის ტოკიოში ყოფნის დროს. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა გაფართოვდეს სსრ კავშირისა და იაპონიის პოლიტიკური დიალოგი ფართო წრის საკითხებზე ორმხრივი ურთიერთობის გამდიდრების ინტერესებისათვის. აღინიშნა, რომ სასარგებლო შეხვედრები გაიმართა აგრეთვე ტოკიოში მყოფ სხვა სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან.

მ. ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Მ. ᲜᲔᲛᲔᲢᲡ

8 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ნემეტი, რომელიც სამუშაო ვიზიტად არის ჩამოსული სსრ კავშირში. მ. ს. გორბაჩოვმა მიულოცა მ. ნემეტს უნგრეთის მთავრობის მეთაურად დანიშვნა და უსურვა წარმატებანი ამ პოსტზე.

მ. ნემეტმა გააშუქა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის კურსი უნგრეთის საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე და ხაზი გაუსვა, რომ ეს კურსი უნდა ემყარებოდეს ნათელ მამობილიზებელ სამოქმედო პროგრამას, რომელიც შეაკავშირებს კომუნისტებს, ქვეყნის ყველა მოქალაქეს ახლანდელი რთული ამოცანების გადასაწყვეტად. ეკონომიკურ პოლიტიკაში მთავარია კიდევ უფრო განავითარონ რეფორმა, რომელიც ემყარება სასაქონლო-ფულადი და საბაზრო ურთიერთობების გამოყენებას, მწარმოებელთა დამოუკიდებლობის გაძლიერებას, ცენტრალიზებული მმართველობის სრულყოფას. სტაბილიზაციის სამთავრობო პროგრამის მიზნების შესაბამისად გასულ წელს უკვე გაუმჯობესდა ზოგიერთი საგარეო-ეკონომიკური მაჩვენებელი, მაგრამ ნეგატიური ტენდენციები ჯერაც არ არის დაძლეული.

ყოველი მმართველი კომუნისტური პარტია ამოცანებს წყვეტს თავისი ისტორიული პირობებისა და ეროვნული ღირებულებების შესაბამისად, სუვერენულად ამუშავებს თავის პოლიტიკას, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, ეს უეცლობელი პრინციპია. ამავე დროს პარტიების საქმიანობაში ბევრი რამ არის საერთო, ისინი ეძებენ გზებს, რათა რაც შეიძლება სრულად გამოიყენონ სოციალიზმის პოტენციალი ხალხთა იბერესებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ჩვენგანისათვის მთავარია ადამიანისაკენ შემობრუნება, მისი მთელი შემოქმედებითი შესაძ-

ᲠᲘᲗ ᲓᲠᲝᲡ.

ᲡᲐᲙᲫᲘᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

ების გაფურჩქვნის ხელსაი პირობების შექმნა.

კავშირი ამჟამად გარდატეხის ეტაპზე იმყოფება, მიმდინარეობს ყავლგასული ცხოვრების წესის, ძველ-რბილში გამჯდარი ჩვეულებებისა და წარმოდგენების ძირეული მსხვრევა. რადიკალურად ახლდება ეკონომიკური სტრუქტურები, იქმნება დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, რომელიც ხელისუფლებას საბჭოებს უბრუნებს. გარდაქმნის საწინდარია საბჭოთა ადამიანების აქტიური, ქმედითი პოზიცია.

საუბრის დროს ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაინტერესებულია კიდევ უფრო განავითაროს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ნაყოფიერი თანამშრომლობა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, კერძოდ, ერთობლივი სამრეწველო და სასოფლო-სა ურნეო საწარმოების შექმნაში.

საუბარმა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა.

* * *

ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡᲨᲘ გაიმართა მოლაპარაკება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ი. რიჟკოვსა და მ. ნემეტს შორის, რომლის დროსაც ძირითადი ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირსა და უნგრეთში სოციალისტური მშენებლობის აქტუალურ საკითხებს, ორმხრივი თანამშრომლობის მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებს, უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებს.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. დ. მასლიუკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ვ. ტალიზინი, სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

ᲡᲡᲠ კავშირის მთავრობის სახელით კრემლში სტუმრის პატივსაცემად გაიმართა საუზმე.

საუზმეზე, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ნ. ი. რიჟკოვმა და მ. ნემეტმა სიტყვები წარმოთქვეს.

* * *

მ. ᲜᲔᲛᲔᲢᲘ იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკო იგი. გვირგვინი მიიტანა აგრეთვე კრემლის გალავანთან დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავზე.

* * *

ამავე დღეს უნგრეთის მთავრობის მეთაური მოსკოვიდან სამშობლოს გაემგზავრა.

აეროდრომზე მ. ნემეტის გასაცილებლად მოვიდნენ ნ. ი. რიჟკოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

(ᲡᲐᲙᲫᲘᲡᲘ).

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 2 მარტს მოსკოვში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიკლოშ ნემეტი. აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი და სხვა ოფიციალური პირნი. (ᲡᲐᲙᲫᲘᲡᲘ).

Ძ. ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ფ. ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲔᲡ ᲝᲠᲓᲝᲜᲘᲔᲡᲡ

8 მარტს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ფ. ფერნანდეს ორონიოზს. საბჭოთა კავშირში მიმავალი ვიზიტის განიხილავენ კიდევ დიდნაწილეულოვან რგოლებში საბჭოთა კავშირ-ესპანეთის ურთიერთობიერი დიალოგში, რომელსაც ესპანელ[illegible]ულ უფრო რეგულარული ხასიათი ენიჭება.

ფ. ფერნანდეს ორდონიოსმა მ. ს. გორბაჩოვს გადასცა ესპანეთის მთავრობის მეთაურის ფ. გონსალესის პირადი წერილი.

მ. ს. გორბაჩოვმა მოიწონა ამ წერილის ფორმა და შინაარსი, [illegible]ელიც განაგრძობს ფ. გონსალ[illegible]ის 1986 წლის მოსკოვის [illegible]ის დროს დაწყებულ ნაყ[illegible]ერ აზრთა გაზიარებას. საბ[illegible]ოთა კავშირში, თქვა მან, დიდი პატივისცემით ეკიდებიან ესპანეთს, გამსჭვალული არიან ამ ქვეყნის ხალხის მიმართ დრმა მეგობრობის გრძნობით. ჩვენ ნამდვილ ესპანეთი — ეს არის დამოუკიდებელი ფაქტორი ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკაში. ჩვენ ნდად ვიფასებთ იმას, რომ დინამიკურად ვითარდება ჩვენი ურთიერთობა, ამასთან ყველა საკითხი წყდება გულახდილობისა და ნდობის, ერთურთის პოზიციადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

ფ. ფერნანდეს ორდონიესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ესპანეთში უდიდესი ინტერესითა და [illegible]ესპანეთის საგარეო საქმეთა [illegible]ისტრს ფ. ფერნანდეს ორ[illegible]ს. საბჭოთა კავშირში მი[illegible] ვიზიტს განიხილავენ კი[illegible] დიდნაწილეულოვან რგო[illegible]საბჭოთა კავშირ-ესპანეთის [illegible]ეკიკურ დიალოგში, რომელ[illegible]ულ უფრო რეგულარული ხასიათი ენიჭება.

ფ. ფერნანდეს ორდონიესმა მ. ს. გორბაჩოვს გადასცა ესპანეთის მთავრობის მეთაურის ფ. გონსალესის პირადი წერილი.

მ. ს. გორბაჩოვმა მოიწონა ამ წერილის ფორმა და შინაარსი, [illegible]ელიც განაგრძობს ფ. გონსალ[illegible]ის 1986 წლის მოსკოვის [illegible]ის დროს დაწყებულ ნაყ[illegible]ერ აზრთა გაზიარებას. საბ[illegible]ოთა კავშირში, თქვა მან, დიდი პატივისცემით ეკიდებიან ესპანეთს, გამსჭვალული არიან ამ ქვეყნის ხალხის მიმართ დრმა მეგობრობის გრძნობით. ჩვენ ნდად ვიფასებთ იმას, რომ დინამიკურად ვითარდება ჩვენი ურთიერთობა, ამასთან ყველა საკითხი წყდება გულახდილობისა და ნდობის, ერთურთის პოზიციადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

ფ. ფერნანდეს ორდონიესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ესპანეთში უდიდესი ინტერესითა და [illegible]ესპანეთით ეკიდებიან საბჭოთა [illegible]ავშირში მიმდინარე გარდაქმნებს. ესპანელები გულწრფელად [illegible]ეურვებენ წარმატებას გარდაქმნას, რომლის შედეგებს დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ, აგრეთვე მთელი მსოფლიოსათვის.

[illegible]ჯერთანა ყურადღება დაეთმო სპერთო-ევროპის საქმეებს. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისათვის — ჩვენი საგარეო პოლიტიკის სხვა მიმართულებათა დიდ მნიშვნელობასთან [illegible]ერთად — ევროპის სახელმწიფ[illegible]ები პრივილეგირებული პარ[illegible]ორები არიან. ჩვენ საერთო [illegible]ებები, საერთო ისტორია, ძვე[illegible] ურთიერთობის ტრადიცია გვაკავშირებს. ევროპაში შეძენილია პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სულიერ სფეროში თანამშრომლობის უძვირფასესი პოტენციალი. ევროპას შეუძლია თავისი სიტყვა თქვას იმ პოზიტიური პროცესების მხარდასაჭერად, ფართოდ რომ ჩაღდება საერთაშორისო განვითარების ახლანდელ, გარდამტეხ მიჯნაზე. ამ საქმეში ევროპას სხვა ვერავინ შეცვლის.

მოსაუბრეები შეთანხმდნენ, რომ ამჟამად ევროპაში შექმნილი სასიკეთო სიტუაცია უნდა გამოვიყენოთ კონფრონტაციის დასაცხრობად, განიარაღების საკითხთა მოლაპარაკების დასაწინაურებლად. უნდა ვეძიოდთ ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რომელმაც შეიძლება დაბარკოლოს კონტინენტზე ვითარების გაჯანსაღება, ევროპის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება.

ფ. ფერნანდეს ორდონიესმა დაადასტურა მ. ს. გორბაჩოვისათვის წინათ შეთავაზებული მიწვევა ესტუმროს ესპანეთს. ამასთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ მას სურს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ეწვიოს ამ ქვეყანას.

მ. ს. გორბაჩოვმა და ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ საბჭოთა კავშირ-ესპანეთის ურთიერთობას, რომელსაც თავისი განვითარების სასიკეთო მომენტი დაუდგა, კარგი პერსპექტივები აქვს.

საუბარი გამოირჩეოდა ორმხრივი კეთილშობილურნეობით, ფართო ურთიერთგაგებით საეგრეთო პოლიტიკის, ორმხრივი თანამშრომლობის საკვანძო საკითხებში.

შეხვედრაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე.

(ᲡᲐᲙᲫᲘᲡᲘ).

Ძ. ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ფ. ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲔᲡ ᲝᲠᲓᲝᲜᲘᲔᲡᲡ

8 მარტს მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ფ. ფერნანდეს ორდონიესს. საბჭოთა კავშირში მიმავალ ვიზიტს განიხილავენ კიდევ დიდნაწილეულოვან რგოლებში საბჭოთა კავშირ-ესპანეთის ურთიერთობიერ დიალოგში, რომელსაც ესპანელ[illegible]ულ უფრო რეგულარული ხასიათი ენიჭება.

ფ. ფერნანდეს ორდონიესმა მ. ს. გორბაჩოვს გადასცა ესპანეთის მთავრობის მეთაურის ფ. გონსალესის პირადი წერილი.

მ. ს. გორბაჩოვმა მოიწონა ამ წერილის ფორმა და შინაარსი, [illegible]ელიც განაგრძობს ფ. გონსალ[illegible]ის 1986 წლის მოსკოვის [illegible]ის დროს დაწყებულ ნაყ[illegible]ერ აზრთა გაზიარებას. საბ[illegible]ოთა კავშირში, თქვა მან, დიდი პატივისცემით ეკიდებიან ესპანეთს, გამსჭვალული არიან ამ ქვეყნის ხალხის მიმართ დრმა მეგობრობის გრძნობით. ჩვენ ნდად ვიფასებთ იმას, რომ დინამიკურად ვითარდება ჩვენი ურთიერთობა, ამასთან ყველა საკითხი წყდება გულახდილობისა და ნდობის, ერთურთის პოზიციადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

ფ. ფერნანდეს ორდონიესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ესპანეთში უდიდესი ინტერესითა და [illegible]ესპანეთით ეკიდებიან საბჭოთა [illegible]ავშირში მიმდინარე გარდაქმნებს. ესპანელები გულწრფელად [illegible]ეურვებენ წარმატებას გარდაქმნას, რომლის შედეგებს დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ, აგრეთვე მთელი მსოფლიოსათვის.

[illegible]ჯერთანა ყურადღება დაეთმო სპერთო-ევროპის საქმეებს. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისათვის — ჩვენი საგარეო პოლიტიკის სხვა მიმართულებათა დიდ მნიშვნელობასთან [illegible]ერთად — ევროპის სახელმწიფ[illegible]ები პრივილეგირებული პარ[illegible]ორები არიან. ჩვენ საერთო [illegible]ებები, საერთო ისტორია, ძვე[illegible] ურთიერთობის ტრადიცია გვაკავშირებს. ევროპაში შეძენილია პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სულიერ სფეროში თანამშრომლობის უძვირფასესი პოტენციალი. ევროპას შეუძლია თავისი სიტყვა თქვას იმ პოზიტიური პროცესების მხარდასაჭერად, ფართოდ რომ ჩაღდება საერთაშორისო განვითარების ახლანდელ, გარდამტეხ მიჯნაზე. ამ საქმეში ევროპას სხვა ვერავინ შეცვლის.

მოსაუბრეები შეთანხმდნენ, რომ ამჟამად ევროპაში შექმნილი სასიკეთო სიტუაცია უნდა გამოვიყენოთ კონფრონტაციის დასაცხრობად, განიარაღების საკითხთა მოლაპარაკების დასაწინაურებლად. უნდა ვეძიოდთ ისეთი ნაბიჯის გადადგმას, რომელმაც შეიძლება დაბარკოლოს კონტინენტზე ვითარების გაჯანსაღება, ევროპის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება.

ფ. ფერნანდეს ორდონიესმა დაადასტურა მ. ს. გორბაჩოვისათვის წინათ შეთავაზებული მიწვევა ესტუმროს ესპანეთს. ამასთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ მას სურს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ეწვიოს ამ ქვეყანას.

მ. ს. გორბაჩოვმა და ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ საბჭოთა კავშირ-ესპანეთის ურთიერთობას, რომელსაც თავისი განვითარების სასიკეთ

ახლანდელი ეტაპის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიშანია საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ყველა დონეზე მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დაუცხრომელი ძიება, გადიდებული ინტერესი ყოველივე ახლისადმი, რაც წარმოშობა დრომოჭმულთან და უკუსაგდებთან ძნელ ბრძოლაში. სწორედ ამ ინტერესმა მიიყვანა მეზობელი რაიონების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პლენუმზე, რომელმაც განიხილა საკითხი პარტიის XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა მიხედვით პოლიტიკური და რადიკალური რეფორმის განხორციელებისათვის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის განვითარებისათვის რაიონის პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანების შესახებ. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. სარიშვილმა.

პლენუმზე გაიმართა პრინციპული სჯა-ბაასი ექსპერიმენტის გარშემო, რომლის მიზანია პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება, პარტიული-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება. სიახლის არსი უშუალოდ გამომდინარეობს პარტიის XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებიდან. ეს არის პრაქტიკაში ახალი ფორმების, არასტანდარტული გადაწყვეტების დანერგვა, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს დარღვევებს, რომ გავაქტიუროთ ადამიანის ფაქტორი, უზრუნველვყოთ მუშაობის საუკეთესო საბოლოო შედეგი.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგე პ. პ. ჩხეიძე.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, მიუხედავად რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაში მიღწეული გარკვეული წარმატებისა, გარდაქმნის პროცესი დაკავშირებულია სერიოზულ სიძნელეებთან. მართვის მოძველებული სქემების, ინიციატივისა და სტიმულების უქონლობის გამო საქმე წინ საკმაოდ ძნელად მიიწევს. ნელა ინერგება წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, შრომითის კოლექტივებთან მეცნიერების კავშირს ჯერ კიდევ არ უდგევს საფუძვლად სრული სამეურნეო ანგარიში. მეტად დიდია არასაწარმოო ხარჯები, ხელფასი კი კვლავ დაბალია, საშუშ მასშტაბს იძენს ეგრეთ წოდებული „ჩრდილოვანი ეკონომიკა“. მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების უდიდესი რეზერვები კვლავ გამოუყენებელია. ყველა ამ ხარვეზის აღმოფხვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ ძირეულ რგოლებში მართვის სტრუქტურის შეცვლას. ახეთ მიზანს ისახავს ექსპერიმენტი, რომლის მიხედვით იქმნება სასოფლო ტერიტორიული პარტიული კომიტეტები.

რა არის მისი არსი? ახალი სასოფლო პარტიული კომიტეტები იქმნება ექსპერიმენტის სახით სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე, მათ ორი-სამი წლით აირჩევს საერთო პარტიული კრება ან კონფერენცია. ახლად შექმნილმა პარტიულმა კომიტეტებმა ხელი უნდა შეუწყონ პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის უფრო მიზანმიმართულ გაძღოლას, ძირეულ რგოლებში პარტიული გავლენის გაძლიერებას, სოფლად მთელი ძალების კონსოლიდაციას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის.

გამსხვავების შედეგად 74 პარტიული ორგანიზაციის ნაცვლად იქმნება ცხრამეტი, რაც შესაძლებლობას მისცემთ უფრო საგნობრივად მოპკიდონ ხელი ადგილებზე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. შესაბამისად გარდაქმნება პარტიის რაიკომიც, სადაც გაუქმდა მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის განყოფილებები, საერთო განყოფილება გარდაქმნა საქმის წარმოების ხელმძღვანელად, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება — იდეოლოგიურ განყოფილებად. გამოთავისუფლებულ მუშაკთა ხარჯზე გაძლიერდა ორგანიზაციული განყოფილება. საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის შემადგენლობიდან შეიქმნა პარტიული მუშაობისა და რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებათა შემდეგი კომისიები: ორგანიზაციულ-პარტიული, საკადრო მუშაობის და სამართლებრივი პოლიტიკისა, აგროსამრეწველო კომპლექსის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა, იდეოლოგიური მუშაობისა.

ახალი პოლიტიკური სისტემის პირობებში, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, რაიკომი, მისი ბიურო, მთელი აპარატი სათავეში უნდა ჩაუდგნენ ყველა რგოლში გარდაქმნის განხორციელებისათვის გამოზნულ პრაქტიკულ მუშაობას. ამისათვის საჭიროა, რომ ყველგან შეიქმნას მაღალი პარტიული მომთხოვნელობის ატმოსფერო, თითოეული კომუნისტი სისტემატურად უნდა ზრუნავდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონკრეტულ ამოცანათა ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის და ამ ნაბიჯებს სამეურნეო მუშაკთა მაგვარობას.

პლენუმის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს სახალხო მეურნეობის მართვის ახალი სქემა და აღნიშნეს, რომ ამოცანად მოქმედ[illegible] შეიცავს ზედმეტ რგოლებს, უმეტესწილ [illegible] მით და მატერიალური რესურსების [illegible] ბას, ვიწროუფუნქციურ დამოკიდებულებას ნაირთო-[illegible] ნეო ამოცანების გადაწყვეტილ[illegible] რდება პირველადი პარტიული ორგანიზაციები[illegible] ტი, პარტკომები კი, რომლებიც სოფლად პოლიტიკური [illegible] ნელი ცენტრები გახდებიან, მიზნად უნდა უსახავდნენ [illegible] კომუნისტებს საერთო ამოცანების გადაწყვეტას, შრომ[illegible] ხალოლო შედეგების მიღწევას, ნაკლოვანებათა ლიკვ[illegible] მლებიც ჯერ კიდევ მრავლად არის რაიონში.

პლენუმზე გამოსულმა კომუნისტებმა მთელი გულ[illegible] და პრინციპულობით ილაპარაკეს ის პრობლემებზე, [illegible] დაუდებელ გადაჭრას მოითხოვენ, და აქ მათი აზრი[illegible] ლი უნდა შეასრულოს ახალმა პოლიტიკურმა სტრუქტურამ.

მაინც რა სიძნელეებია რაიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, როგორ წარმართავენ გარდაქმნის პროცესებს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, პირველადი პარტორგანიზაციები, რა აფერხებს წინსვლას?

ძირი ყოვლისა

დავიწყოთ იქიდან, თუ რა სურათს გვაძლევს სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მათზე მოთხოვნილების თანაფარდობის ანალიზი. იმის მიუხედავად, რომ გურჯაანი უპირველესად სასოფლო-სამეურნეო რაიონია, [illegible] მოთხოვნილებას მხ[illegible] ურძნითა და ნაწილობრივ მარცვლეულით იკმაყოფილებს, სხვა პროდუქტების დიდი ნაწილი კი გარედან შემოაქვს.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია მეცხოველეობის პროდუქტების ადგილზე დამზადებისა და ხარჯვის თანაფარდობა. რამდენიმე ციფრი ნათლად გვიხატავს რეალურ ვითარებას. შარშან რაიონში ცოცხალი წონით დამზადდა 2422 ტონა ხორცი, რამაც მოსახლეობის ერთ სულზე ყველაზარიშებით ფიზიოლოგიური ნორმით გათვალისწინებული 63 კილოგრამის ნაცვლად დაახლოებით 15 კილოგრამი შეადგინა, ეს ნორმაზე ოთხჯერ და მეტად ნაკლებია. ასევე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მხოლოდ 70,7 კილოგრამი რძე და 40 ცალი კვერცხი დამზადდა. ორივე ეს მაჩვენებელი ნორმაზე ხუთჯერ ნაკლებია. აქედან ჩანს, რომ რაიონი მოსახლეობის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოების რესურსებით სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს. და ეს ხდება გურჯაანში, სადაც გამორჩეული ბუნებრივი პირობები და აუთვისებელი რეზერვია.

აგროსამრეწველო კომპლექსის, ზოგადეკონომიკური სამსახურის, მეურნეობათა ხელმძღვანელების მოუქნელ მუშაობაზე მეტყველებს ის, რომ გასული წლის ბოლოსათვის საზოგადოებრივ მეურნეობებში 1987 წელთან შედარებით 209 სულით შემცირდა ფურების სულადობა, 340 სულით გოჭებისა და 200 სულით ხბორების მიღება. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაცემა გაიზარდა 6 სულით, ღორისა — 127, ცხვრისა და თხისა — 128 სულით. დაბალია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადღეღამისო წონამატი, რომელიც რესპუბლიკური 302 გრამის ნაცვლად 196 გრამს შეადგენს. ღორის წონამატი რესპუბლიკური 295 გრამის ნაცვლად 240 გრამია. პლენუმს წითელ ზოლად გასდევდა იმის მოთხოვნა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, გურჯაანში არის პირობები და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეცხოველეობის განვითარებას.

საგანგაშო ისაა, რომ განვლილი ხუთი წლის მანძილზე რაიონს ერთხელაც არ შეუსრულებია სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმები. ნაცვლად დავალებით გათვალისწინებული 530 ათასი ტონისა, სახელმწიფოს 416 ათასი ტონა ანუ 114 ათასი ტონით ნაკლები ყურძენი მიეყიდა. მათ შორის საზოგადოებრივი მეურნეობებიდან 33 ათასი ტონით ნაკლები. მარტო შარშან რაიონმა სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებას 3 ათასი ტონა დააკლო. განსაკუთრებით ჩამორჩნენ შრომის, ახაშნის, კალაურის, კაჭრეთის, კოლაგის, კარდანახის, შაშიანის, მელაანისა და ჩალაუბნის მეურნეობები. მათ სხვადასხვა მავნებლისაგან ვერ დაიცვეს ვაზი და ამის გამო 2 ათას ტონაზე მეტი ყურძენი დაკარგეს.

სამეურნეო ორგანოების, აგრომრეწვის სუსტ მუშაობაზე მეტყველებს ის, რომ დღემდე არ დანერგილა გარანტირებული მოსავლის ყოველგვარ პირობებში მოყვანის სისტემა. ამის გარეშე კი შეუძლებელია სტაბილური შედეგების მიღწევა. შარშან სეტყვის გამო საზოგადოებრივ მეურნეობათა თითქმის ნახევარმა ვერ უზრუნველყო მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის მაჩვენებელთა საშუალო რაიონული დონის მიღწევა, რითაც სახელმწიფოს 4.357 ტონა მარცვლეული, 4.380 ტონა ბოსტნეულ-ბაღჩეული, 22.339 ტონა ყურძენი, 218 ტონა რძე და 289 ტონა ხორცი დააკლდა. მაგრამ ერთ-ერთ ასევე დასეტყვილ კოლმეურნეობაში ყურძნის მოსავლიანობამ 95 ცენტნერი შეადგინა. ასეთი მაჩვენებლისათვის რაიონის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას ან ორგანიზაციას ან მარტო 1988 წლის გეგმის შესასრულებლად, არამედ წინა ორი წლის დანაკლისის დასაფარავადაც.

აბა, რა გამართლება უნდა მოეძებნოს იმას, რომ შარშან შაშიანის კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ მხოლოდ 13,5 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. რაიონის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში მარცვლეულის მოსავლიანობა ვაზისუბნის კოლმეურნეობის დონემდე, ესე იგი, 42,1 ცენტნერამდე რომ გადიდდეს, რის საშუალება უდავოდ არის, მაშინ დამატებით შეიძლება დაახლოებით 8 ათასი ტონა მარცვლეულის წარმოება. ეს კი კომბინირებული საკვების დეფიციტს მთლიანად აღმოფხვრის.

არადა, რაიონში ეს საკითხი მეტად მწვავედ დგას. მეცხოველეობისათვის საჭირო 17 ათასი ტონა კომბინირებული საკვებიდან საკუთარი წარმოების მარცვალი მხოლოდ 6 ათასი ტონაა. 7-8 ათას ტონას კი სახელმწიფო გამოყოფს, ხოლო 3 ათასი ტონა დეფიციტია. ასეთ ვითარებაში რაიონში ჰექტარზე საშუალოდ მხოლოდ 30 ცენტნერ ხორბალს და 25 ცენტნერ სიმინდს აწარმოებენ.

გამოუყენებელია წარმოების ზრდის, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების უზარმაზარი რეზერვები. ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობამ შარშან 64 ცენტნერი შეადგინა. ამავე დროს საზოგადოებრივ მეურნეობებში ვაზის მეჩხერიანობა 12 პროცენტს აღემატება, რაც საერთო ფართობზე გადაყვანით 1500 ჰექტარს უდრის. აქედან კი შესაძლებელია დამატებით 12 ათასი ტონა ყურძნის მიღება. საგანგაშოა ისიც, რომ მცირდება ამ ძვირფასი კულტურის ფართობები. 1984 წელს რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების ვენახს 12.053 ჰექტარი ეჭირა, 1988 წელს კი მისმა ფართობმა 224 ჰექტარით ნაკლები შეადგინა. არასახარბიელო მდგომარეობაა ახალი ვენახების გაშენების საქმეშიც. 1984-1988 წლებში საზოგადოებრივ მეურნეობებს გეგმით 3.243 ჰექტარი ვენახი უნდა გაეშენებინათ, ფაქტობრივად კი თითქმის ათასი ჰექტარით ნაკლები გაშენდა. ბევრი ნაკლოვანებაა დარაიონებული უნიკალური ჯიშების გავრცელების საქმეშიც ბოლო წლებში გაშენებული ვენახების 80 პროცენტზე მეტი რქაწითელია.

წარმოების ზრდის რეზერვები დიდია სხვა დარგებშიც. მართალია, რაიონი ყოველწლიურად ასრულებს კვერცხის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს, მაგრამ რეზერვები ამ დარგში სრულად არ არის ამოქმედებული. ფაქტობრივად რაიონი კვერცხმდებლობის მაჩვენებლით 25 პროცენტით ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურ დონეს.

ბევრი ნაკლოვანებაა სამრეწველო საწარმოთა საქმიანობაშიც. საგეგმო დავალებათა შესრულება ვერ უზრუნველყოფს ყურძნის გადამუშავების საწარმოო გაერთიანებამ, საკონსერვო ქარხანამ, კაჭრეთის რკინა-ბეტონის ქარხანამ, ადგილმრეწველობის საწარმოო გაერთიანებამ და ა. შ. ქრონიკულად იქცა სამრეწველო პროდუქციის მიწოდების გეგმების შეუსრულებლობა. სავალალო ვითარებაა პროდუქციის ხარისხის სფეროშიც. ყურძნის საწარმოო გაერთიანებაში 1984 წელს დაწუნებულ იქნა გამოშვებული პროდუქციის 5,3 პროცენტი. ამ პერიოდში რეკლამაცია 94,1 ათას დეკალიტრ ღვინოზე მოვიდა, რაც დაახლოებით ერთი მილიონი მანეთის პროდუქციაა. ამისათვის გადახდილი ჯარიმების საერთო თანხამ 20 ათასი მანეთი შეადგინა. ღვინომასალების დიდი ნაწილი ღია ცის ქვეშ ინახება. ეს უარყოფითად მოქმედებს მის ხარისხზე. დაბალია წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დონე. ამის გამო დიდია ხელის შრომის ხვედრითი წილი, რაც თავისთავად ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას.

რატომ გავურბით იჯარას?

ეკონომიკაში გარდაქმნის ბედი არსებითად დამოკიდებულია მეურნეობრიობის ახალი ფორმების დანერგვაზე. რაიონში ამ მხრივაც ბევრი ხარვეზია, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მაგალითად, შაშიანის კოლმეურნეობაში 568 ჰექტარი ვენახიდან სანარდო წესით მხოლოდ 168 ჰექტარი მუშავდება, ვაზისუბნის კოლმეურნეობაში — 1043 ჰექტარიდან 207, შრომის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობაში — 568-დან 129 ჰექტარი. სანარდო ურთიერთობა დღემდე არ დანერგილა ჭანდრისა და კაჭრეთის კოლმეურნეობების მეღორეობისა და მეფრინველეობის ბრიგადებში, მელაანის, არაშენდის, ნანიანის, ჯიმითის საზოგადოებრივ მეურნეობათა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმებში. ამავე დროს რაიონის საბჭოთა მეურნეობებში ერთი მუშაკი საშუალოდ 2828 მანეთის პროდუქციას აწარმოებს. რაც საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებელზე 346 მანეთით ჩამორჩება. ამასთან მხოლოდ რაიონის სოფლის მეურნეობაში სამუშაო დროის წლიურ ფონდს მხოლოდ 72,9 პროცენტით იყენებენ. დიდია იმ ადამიანთა რიცხვიც, რომლებიც არ არიან დასაქმებული საზოგადოებრივ წარმოებაში.

დახმარების მიუხედავად

არ შეიძლება არ დაგვფიქროს სახალხო მეურნეობის მეტად მძიმე საფინანსო-ეკონომიკურმა მდგომარეობამ. მხოლოდ საბჭოთა მეურნეობებმა და სამეურნეოთაშორისო საწარმოებმა შარშან 24 მილიონი მანეთის შემოსავლის ნაცვლად მხოლოდ 18 მილიონი მანეთის ანუ გეგმით გათვალისწინებულზე თითქმის 6 მილიონი მანეთით ნაკლები მოგება მიიღეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1988 წელს ამ მეურნეობებმა ფასდანამატის სახით 821 ათასი მანეთი მიიღეს, ძნელი არ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, თუ როგორი მძიმე ფინანსური მდგომარეობა ექნებოდათ მათ სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარების გარეშე.

თითქმის ყველა მეურნეობაში წმამეებიანია მეცხოველეობა, კოლმეურნეობებში ყურძნის თვითღირებულება 5 პროცენტით გაძვირდა, მატულობს რძის თვითღირებულება, სამეურნეოთაშორისო საწარმოებში ხორცის წარმოების თვითღირებულება 24 პროცენტით გადიდდა.

ყოველივე ეს უკიდურესად ძაბავს ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციის ფინანსურ ვითარებას. წლიურს 1 იანვრისათვის გადაუხდელმა თანხამ რაიონის სახალხო მეურნეობაში 36 მილიონ მანეთს გადააჭარბა. აქედან თითქმის 14 მილიონი მანეთი ბანკის სესხები ვადაგადაცილებულ დავალიანებაზე მოდის.

თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმო სარგებლობს ბანკის სესხებით, რომელთა დიდი ნაწილი დაფარვის ვადის დადგომისას სახსრების უქონლობის გამო ვადაგადაცილებული დავალიანების ანგარიშზე გადადის. 1989 წლის 1 თებერვლისათვის გადიდებული პროცენტების გადახდევინების თანხამ კოლმეურნეობების მიხედვით 2,3 მილიონი მანეთი, საბჭოთა მეურნეობების — 2 მილიონი მანეთი, სამეურნეოთაშორისო საწარმოების მიხედვით — 1,2 მილიონი მანეთი შეადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ კეთილმოუწყობელია განათლების, ჯანმრთელობისა და კულტურის დაწესებულებების ქსელი, წლიდან წლამდე აუთვისებელი რჩება ამ მიზნით გამოყოფილი სახსრები. შარშან განათლების დაწესებულებებმა ვერ აითვისეს ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი 23 ათასი მანეთი. ასევე აუთვისებელი დარჩა 109 ათასი მანეთი, რომელიც განკუთვნილი იყო ჯანმრთელობის დაცვის ონონაძიებების განხორციელებისათვის, მათ შორის თითქმის 90 ათასი მანეთი მედიკამენტების შესაძენად იყო გამოყოფილი.

1988 წელს რაიონის ბიუჯეტში დამატებით უნდა შემოსულიყო 2500 ათასი მანეთი, ფაქტობრივად ამ შემოსავალმა შეადგინა 460 ათასი მანეთი, ანუ 2040 ათასი მანეთით ნაკლები, ვიდრე დავალება ითვალისწინებდა. არ შესრულდა სავაჭრო ამონაგების გეგმა, გარღვევამ 2,7 მილიონ მანეთს მიაღწია.

მომსახურება, კულტურა

არსებითი ნაკლოვანებებია მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა საქონელბრუნვის გეგმების შესრულება. ჯერ კიდევ ნელა ვითარდება მოსახლეობისგან შესყიდული ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით საკმისიო ვაჭრობა. ასევე სერიოზული ხარვეზებია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროშიც.

მშრომელები სამართლიან გულისტკივილს გამოთქვამენ დაბალი სამედიცინო მომსახურების გამო. არის უბნები, სადაც ერთი ექიმი ორი ათას ადამიანს ემსახურება. არადამაკმაყოფილებელია რაისავადმყოფოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აქ არ აქვთ ცხელი წყალი, შენობები ცუდად თბება, ციცი წყლის მიწოდება ხდება გრაფიკით, რომელიც ზშირად ირღვევა. მრავალგზის მოთხოვნის მიუხედავად, აგრომრეწვის რაიონული გაერთიანებისა და ვაჭრობის მესვეურები ქმედით ზომებს არ იღებენ მოსახლეობის სამკურნალო და დიეტური კვების გაუმჯობესებისათვის. კვლავ ვაწყდებით ავადმყოფების მიმართ უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს, სხვა ნეგატიურ გამოვლინებებს.

ნელი ტემპით ხორციელდება საკოლო რეფორმაც. სათანადო პირობები არ არის შექმნილი ექვსწლიანი მოსწავლეებისათვის, არადამაკმაყოფილებელია მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების დონე, გაუმჯობესებას მოითხოვს ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სწავლება.

სათანადოდ არ იყენებენ რაიონის კულტურულ და ინტელექტუალურ პოტენციალს. ბიბლიოთეკებში იგრძნობა მკითხველებისა და გაცემული ლიტერატურის კლების ტენდენცია, მუზეუმები სუსტად მუშაობენ დამთვალიერებელთა მიზიდვისათვის. შარშან წინა წელთან შედარებით მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამთვალიერებელთა რაოდენობა 5700 კაცით შემცირდა, ნატო ვაჩნაძის სახლმუზეუმისა — 16 ათასით, იოსებ ნონეშვილის სახლმუზეუმისა — ორი ათასით. რაიონში არ მოქმედებს არცერთი სახალხო უნივერსიტეტი, არაა შექმნილი მოყვარულთა გაერთიანებები, არცერთ კლუბს არა აქვს ვიდეოდარბაზი, სამოქალაქო რიტუალების ოთახი, საქონო ყურადღება არ ეთმობა კულტურის მუშაკთა მატერიალურ და მორალურ წახალისებას.

მდიდარი ტრადიციების მქონე სპორტული რაიონი ამჟამად სერიოზულად ჩამორჩა, მცირეიცხოვანია ფიზკულტურელთა რიგები, დაბალია სპორტული მაჩვენებლები. აქ არ მოსდევენ სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა ვოლოსპორტი, სპორტული ტანვარჯიში, ცურვა, ჭიდაობა, სამბო და სხვა. საკმარისია თქვას, რომ შარშან ჩატარებულ IV ახალგაზრდულ თამაშებში გურჯაანელებმა რაიონებს შორის 37-ე ადგილი დაიკავეს, ისინი სამ სახეობაში გამოვიდნენ და 19 მონაწილიდან მხოლოდ ერთმა შეძლო ჩათვლის მოპოვება. ხელმძღვანელი ფიზკულტურული მუშაკები ზშირად იცვლებიან, მაგრამ მდგომარეობა თანდათან უარესი ხდება.

ვებრძოლოთ სიყალბეს, სიხარბეს

დღეს წინა პლანზეა წამოწეული ადამიანის აღზრდის პრობლემები, პიროვნების ზნეობრივი სახის სრულყოფა, მავნე ტრადიციებისა და გამოვლინებების აღმოფხვრა. ამ მხრივაც პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა აშკარად არასაკმარისია, ვერ პასუხობს გაზრდილ მოთხოვნებს.

კერძოდ, გარდაქმნის ინტერესები მოითხოვენ, რომ გზა გადავუღობოთ ყოველგვარ წამატებებსა და დარღვევებს, ყველგან დავნერგოთ ალალმართალი და პატიოსანი შრომის პრინციპები. საწინააღმდეგო ქმედება კი იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას, ზნეობრივი კლიმატის გაუარესებას. ამ მხრივ გურჯაანში სასიკეთო ვითარება რომ არ არის, ამაზე ფაქტები მეტყველებენ. როგორც ცნობილია, სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1986 წლის 20 ოქტომბერს მიღებული დადგენილებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ნება დაერთოთ მათ მიერ წარმოებული საგეგმო პროდუქციის 30 პროცენტი სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით გაყიდონ საკოლმეურნეო ბაზარზე და ეს ჩაეთვლებათ სახელმწიფო გეგმის შესრულებაში. გასაგებია, რომ გეგმური მოცულობის არანაკლებ 70 პროცენტი სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს. გურჯაანელებმა ეს შეღავათი ცოტა გაფართოებულად და თავიანთ სასარგებლოდ გაიგეს და როგორც საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, გეგმის შესრულებაში არასწორად შეიტანეს მთლიანად ბაზარზე გაყიდული 2275 ტონა (წესით კუთვნილი 795 ტონის ნაცვლად), აგრეთვე რაიკოოპერატივის მიერ მოსახლეობაში შესყიდული 453 ტონა ბოლჩეული კულტურები და ამით რაიონის მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული ბოლჩეული კულტურების გეგმის შესრულება ხელოვნურად გაზარდეს 79 პროცენტიდან 107 პროცენტამდე. ასევე არასწორადაა შეტანილი გეგმის შესრულებაში ბაზარზე გაყიდული 100 ტონა ხორცი.

გეგმის შესრულების წამატების გარდა, აქ მეორე უბედურებაც იჩენს თავს, საზოგადოებრივ მეურნეობებს პროდუქციის ბაზარზე გაყიდვის უფლება მიეცათ იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მათი ეკონომიკური მდგომარეობა, მაგრამ რა გაუმჯობესებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მაშინ, როცა გურჯაანელთა მიერ ბაზარზე გაყიდული კილოგრამი პამდვრის საშუალო ფასმა თთქმისდა 12 კაპიკი შეადგინა, ამ პერიოდისათვის პამდორის სახელმწიფო შესყიდვის ფასი კი 20 კაპიკი იყო, ზოლო ბაზრის საშუალო ფასი ერთ მანეთს აღემატებოდა. ასევე დაუჯერებელია, რომ ბაზარზე მეურნეობებმა კილოგრამი კომბოსტო 14 კაპიკად გაყიდეს, ნიორი— 1,3 მანეთად, ხახვი — 38 კაპიკად, საზამთრო — 25 კაპიკად, მაშინ ბაზრის საშუალო ფასი ამას ზომ ერთი-სამჯერ სჭარბობდა.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული პროდუქცია ან საერთოდ არ დამზადებულა და ოპერაცია ქაღალდზე გაფორმდა, ანდა თუ პროდუქცია მართლა გაიყიდა ბაზარზე, არაკეთილსინდისიერმა პირებმა, როგორც იტყვიან, გვარიანად მოითბეს ხელი. ორივე შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი ორგანიზების საგანგებო ჩარევა და სიმართლის დადგენა. სიყალბე და სიხარბე არავის ეპატიება.

შარშან მთელს რესპუბლიკაში გახმაურდა ყვარლის, წითელწყაროს, სიღნაღისა და ზოგიერთ სხვა რაიონში დაშვებული წამატებები ყურძნის დამზადებისას. აი რა მოხდა ამ დროს გურჯაანის რაიონში. რესპუბლიკის სახაგრომრეწვის ოპერატიული მონაცემებით, გურჯაანის რაიონის მოსახლეობას 1988 წლის 25 ოქტომბრისათვის გეგმური 15.000 ტონის ნაცვლად დამზადებული ჰქონდა 17.630 ტონა ყურძენი. მალე გამოაშკარავდა ზემოაღნიშნული წამატებების ფაქტები და ამას გურჯაანელთა მრავე სასწრაფო რეაქცია მოჰყვა — 26 ოქტომბრის ანალოგიურ ცნობაში მოსახლეობის მიერ ყურძნის დამზადების მაჩვენებელი 14.867 ტონამდე შეცირდა, სხვაობამ 2.763 ტონა შეადგინა. 2 ნოემბრის ცნობაში კი ეს მონაცემი გახდა 14.922 ტონა, რაც საერთოდ, დიდი ეჭვის ქვეშ აყენებს 2.763 ტონა ყურძნის მოსახლეობის მიერ რეალურ დამზადებას. აქ ბევრი რამ მართლაც თავსატეხი და ამოსაცნობია და ამიტომაც უნდა თქვან თავიანთი სიტყვა დაინტერესებულმა ორგანოებმა, ფარდა ახადონ იმას, თუ რამ გამოიწვია დამზადების მაჩვენებლის შემცირება თითქმის სამი ათასი ტონით, ვის აძლევდა ხელს ასეთი მოქმედება?

კვლავ გვეკითხება შესრულებული სამუშაოების ხელოვნურად გაზრდის შემთხვევები. მაგალითად, ორი წლის წინათ ასე მოხდა კარდენახის საბჭოთა მეურნეობაში. იქ საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობისას ხელფასი ეგრეთ წოდებულ „მკვდარ სულებს“ გამოუწერეს, ამისათვის აგრონომი გ. რაზმაზიშვილი სასჯელის სამართლის პასუხისგებაში მისცეს, მანამდე კი მეურნეობის ხელმძღვანელობამ ეს ფაქტი უყურადღებოდ დატოვა. სწორედ ამას ჰქვია წყარუების პოლიტიკა, რომელიც სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს.

დამცველი თუ დამრღვევი?

კვლავ არასახარბიელოა ოპერატიული ვითარება. შარშან სხვადასხვა სახის 200-ზე მეტი დანაშაული გამოვლინდა. იმატა მძიმე დანაშაულობათა რიცხვმაც. იზრდება სოციალისტური საკუთრების დატაცება-განიავების, მექრთამეობის, სპეკულაციის, სხვა ანტისაზოგადოებრივი ქმედებანი.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელი ფაქტი გამოვლინდა წლეულს, 19 თებერვალს რაიონის სპირტის ქარხანაში, სადაც დაახლოებით 6 ათასი ლიტრი სპირტი დაიტაცეს. როგორც ჩანს, სათანადო დასკვნები არ გაკეთებულა წინა წლებში რაიონის ნავლოვობით მოუხსნელი ჰქონდა 28 კომუნისტს, ხოლო სამიდან ხუთი წლამდე — ორ კომუნისტს.

ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია სრულ უმოქმედოდ იჩენს, მთელ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობას ფაქტობრივად პარტიული საწევროს აკრებით ამოწურავს. ასეთი ვითარება, მაგალითად, სოფელ გურჯაანის ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი ნ. სიხარაძე). ქ. გურჯაანის № 3 საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი შ. ქიტაიშვილი) სათანადო ლონისძიებებს არ აბორგიელებს დეიოლოგიური მუშაობის სრულყოფისათვის, ჯანსაღი ზნეობრივი სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდისათვის. და თუ ყოველივე ეს ხდება რაიკომის ცხვირწინ, საფიქრებელია, როგორი იქნება მისი ზეგავლენა უფროს დაშორებულ და პერიფერიულ პარტორგანიზაციებზე.

სწორედ ამით აიხსნება ის სერიოზული ნაკლოვანებანი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარებაში, რომელთა შესახებ ზემოთ აღვნიშნეთ. ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ პოლიტიკური სისტემის გარდაქმნა აქ ჯერჯერობით ცარიელ ფრაზებად რჩება. არადა, ცხოვრება, გარდაქმნის ინტერესები, დაჟინებით მოითხოვენ, რომ სწრაფად გადავდგეთ სიტყვიდან საქმეზე, პოლიტიკური მუშაობა გაწარმოოთ უშუალოდ მასებში, შრომით კოლექტივებში, ჩავუნერგოთ მშრომელებს იმის რწმენა, რომ სოციალური სამართლიანობის იდეა ყველგან გაიმარჯვებს, თითოეულის კეთილდღეობის საზომი იქნება გაწეული შრომა და მისი ხარისხი, როგორც ამას მოითხოვს და აკანონებს სოციალიზმი, ახალი საზოგადოებრივი ყოფა.

პასუხისმგებლობის წახნაგები

კვლავ მუშაობის სტილისა და პრინციპების შესახებ. ნეგატიური მოვლენები სწრაფად ვითარდებიან მაშინ, როდესაც სუსტდება მათ წინააღმდეგ ბრძოლა გადამჭრელ ზომებს არ იღებენ დამნაშავეთა მიმართ. ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს გურჯაანელთა მაგალითი. გასული წლის აპრილში საქართველოს სსრ სახელმწიფო სტატისტიკურმა კომიტეტმა რესპუბლიკის სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან ერთად მოაწყო სახელმწიფო ანგარი

დემოგრაფიული პრობლემები: გადაჭრის გზები

გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამთავრობო დემოგრაფიული კომისიის სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ჩერქეზია. სხდომაზე საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის პროექტის, ახალქალაქის რაიონის ქართულ სოფლებში დემოგრაფიული სიტუაციისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა, აგრეთვე რაჭის დემოგრაფიული პრობლემების შესახებ ინფორმაცია გააკეთა კომისიის წევრმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სექტორის გამგემ ა. თოთაძემ. საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრმა გ. ენუქიძემ, საქართველოს სსრ შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ რ. ჯაფარიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა რ. მეტრეველმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა გ. ყორყოლიანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ვ. გურგენიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ჯავახიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. კაკაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. სულაბერიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ვ. გუჯაბიძემ, მწერალმა ი. ბეგიაშვილმა.

საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის პროექტში ფართოდ აისახა რესპუბლიკის დემოგრაფიული ვითარების ტრადიციული პრობლემები, საჭირო ღონისძიებები დემოგრაფიი სპეციალისტების მოსამზადებლად ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. მოსახლეობის გაძარცვების ასპექტით ყურადღება მიეპყრო ოჯახში სამი და ოთხი ბავშვის ყოლის განწყობილებებისა და ძირითადად ასეთ ოჯახებში ერთჯერადი და პიროდული მატერიალური დახმარების გაზრდისა და გავრცელების აუცილებლობას. პროგრამის პროექტში ასახვა პოვა დებულებამ, რომელიც ითვალისწინებს ანსაკუთრებით აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებას, იმ რაიონებში, სადაც დინამიზება ან მოსალოდნელია მოსახლეობის დეპოპულაცია. ამასთან, პროგრამაში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დასახულია თელი რიგი შეღავათები.

ახალგაზრდა და მყარი ოჯახების შექმნისათვის პროგრამით ითვალისწინებულია დახმარება სათანადო ღონისძიებების განხორციელება, ბავშვიანი ქალებისათვის დედობისა და საზოგადოებრივ მუშაობაში შეხამების სათანადო პირობების შექმნა, მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა.

პროგრამის პროექტში ფართოდ განხილულია წარმოდგენილი რესპუბლიკაში მიგრაციული პროცესების რაციონალიზაციის საკითხები. უპირველეს ყოვლისა, პროგრამა ითვალისწინებს რაჭაში, აღმოსავლეთ კავკასიონის რეგიონსა და ლეჩხუმში არასასურველი მიგრაციული პროცესების შეჩერებას, სპეციალური ღონისძიებების შემუშავებას ახალქალაქის რაიონის ქართული მოსახლეობის ადგილზე დასამკვიდრებლად და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიგრაციული პროცესების მოწესრიგებას.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამის პროექტი, პრესაში საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებამდე, დაეგზავნოს შესაბამის სამინისტროებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სხვა ორგანიზაციებს შემდგომი დაკონკრეტებისა და სრულყოფისათვის.

კომისიის სხდომაზე ფართო მსჯელობა გაიმართა ახალქალაქის რაიონის ქართულ სოფლებში გამწვავებული დემოგრაფიული ვითარებისა და მისი გაჯანსაღებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ახალქალაქის რაიონში წლითიწლობით მცირდება ქართული მოსახლეობის რაოდენობა. მოსახლეობის 1970 და 1979 წლების აღწერის პერიოდში იგი 3926 კაციდან 3067 კაცამდე შემცირდა და რაიონის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 4,4 პროცენტი შეადგინა.

მიგრაციის შედეგად ქართულ მოსახლეობაში იჩრდება ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი, მცირდება შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა, ირღვევა სქესობრივი სტრუქტურა. მოსახლეობის დაბერება თავის მხრივ იწვევს შობადობის შემცირებას და სიკვდილიანობის ზრდას. ამის გამო ქართული მოსახლეობის მარტივი აღდგენა-გამრავლებაც კი ვერ ხდება.

რაიონის ქართულ სკოლებში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ორჯერ შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა, ზოგიერთ სკოლაში კი — გაცილებით მეტად. მაგალითად, ჩუნჩხის ქართულ სკოლაში 63 ბავშვის ნაცვლად 7 ბავშვია დარჩა. პირველ კლასში ამჟამად 2 მოსწავლე ჰყავთ, მომავალში ერთი მოსწავლე ეყოლებათ. პტენის საშუალო სკოლაში კი მოსწავლეთა რაოდენობა ამ პერიოდში თითქმის ათჯერ შემცირდა და ამჟამად სკოლაში 8 მოსწავლე სწავლობს. პირველ კლასში აქაც ორი მოსწავლე ჰყავთ, მომავალ წელს კი არც ერთი მოსწავლე არ ეყოლებათ. დემოგრაფიულ ვითარებას ქართულ მოსახლეობაში ართულებს ისიც, რომ ახალგაზრდა ქალები მასობრივად არიდებენ თავს ჯავახეთის სოფლებში გათხოვებას, რის გამოც ვაქებს უქმირთ დაქორწინება და ოჯახის შექმნა.

რაიონის ქართულ მოსახლეობაში გამწვავებული დემოგრაფიული სიტუაცია მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, მათში გაბატონებულია მიგრანტული განწყობილება. სწორედ ამის გამო სოფლებში თითქმის არ შენდება ახალი სახლები, არ იგრძნობა ზრუნვა სოფლის კეთილმოწყობაზე. სოფლები უსახოდ, უღიმღამოდ და მიტოვებულად გამოიყურება.

ქართულ სოფლებში სოციალურ-საყოფაცხოვრებო ხასიათის ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. რაიონის ცენტრთან დამაკავშირებელი და შიდა სასოფლო გზები უვარგისია. ცუდად მუშაობს ტრანსპორტი, გასაუმჯობესებელია სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. სოფლებში თითქმის არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურებ ის ობიექტები, კულტურული მომსახურება ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნილებებს. სოფლები განიცდიან სასმელი წყლის ნაკლებობას და სხვ. ამასთან ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები არ ინტერესდებიან ქართული სოფლების მოსახლეობის მდგომარეობით, არ ჩადიან მათთან და არ გზავნიან მხატვრულ კოლექტივებს.

ახალქალაქის რაიონის ქართული სოფლების მოსახლეობის მიგრაციის გამომწვევი მიზეზები კომპლექსურად უნდა იქნეს შესწავლილი. ჯავახეთის პრობლემებსა და იქ ქართული მოსახლეობის შენარჩუნებას ისეთივე მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, როგორც ეს ხდება ფშავ-ხევსურეთის, თუშეთის, მთიანი აჭარის, სვანეთისა და ზოგიერთ სხვა რეგიონში.

ამჟამად მნიშვნელოვანი სირთულეები იქმნება ქართულ სოფლებში იჯარის გამოყენებასთან დაკავშირებით. მუშახელის ნაკლებობის გამო მოსახლეობას უჭირს მიწების დამუშავება. უნდა გამოიძებნოს კონკრეტული, ქმედითი გზები სოფლებში მიწების დამუშავებისა და მათი ეკონომიკური მომძლავრებისათვის. მართალია, სოფელ კოთელიაში ადგილობრივმა მოსახლეობამ იჯარით აიღო მიწები, მაგრამ მარტოეს საქმეს არ შველის. სხვა სოფლებში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის სიმცირის გამო საკუთარი ძალებით ვერ ხერხდება სოფლის კუთვნილი მიწების დამუშავება. მდგომარეობა შეიძლება გამოსწორდეს, თუკი რესპუბლიკის სამინისტროებისა და მსხვილი საწარმოო გაერთიანებების დაქვემდებარებაში გადაცემა ქართულ სოფლებში არსებული მეურნეობები. გარდა ამისა, წინასწარი მონაცემებით მიგრანტმწიან და ჭარბი მუშახელის მქონე, აგრეთვე ღვარცოფსაშიშ და ზვავსაშიშ მაღალმთიან სოფლებში შეიძლება გამოიძებნოს ოჯახები, რომლებიც სათანადო პირობების უზრუნველყოფის შემთხვევაში ჩასახლდებიან ჯავახეთის სოფლებში. ეს ადგილობრივი მოსახლეობის დიდი სურვილიცაა. ისინი ამაში ხედავენ ქართული სოფლების გადარჩენის დიდ იმედს. უნდა ვიზრუნოთ ადგილობრივი სოფლებიდან წასულ მკვიდრთა უკან დაბრუნებისთვისაც.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ახალქალაქის რაიონის ქართული მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისათვის საჭიროა დღესვე განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებები.

კომისიამ ახალქალაქის რაიონის ქართულ სოფლებში მძიმე დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებლად, უპირველეს ყოვლისა, **საჭიროდ მიიჩნია სოფლებში, უმთავრესად ჩუნჩხაში, პტენაში, კოთელიაში, ოკამში, გოგაშენსა და აფნიაში, თანამედროვე ორსართულიანი კეთილმოწყობილი ბინების აშენება. ამ საკითხთან დაკავშირებით მან განიხილა წარმოდგენილი პროექტი. გამოითქვა აზრი, რომ ბინები უსახყიდლოდ უნდა გადაეცეთ როგორც ამ სოფლის მკვიდრ, ისე ყოველ ახალგაზრდა ქართულ ოჯახს, რომელიც საცხოვრებლად გადმოვა ამ სოფლებში, აგრეთვე იმათ, ვინც ჩამოსახლდება ან თავის მამა-პაპისეულ კერასა და ფუძეს დაუბრუნდება.** ამის მსურველები კი უკვე საკმაოდ არიან. ამჟამად ახალციხის, ადიგენისა და ბორჯომის რაიონებში მცხოვრებ ახალქალაქის ქართული სოფლების 40 კვიდრს აქვს დაწერილი განცხადება სათანადო პირობების შექმნის შემთხვევაში უკან დაბრუნების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიას მიაჩნია, რომ მშენებლობის ხარჯები სახელმწიფოსთან ერთად უნდა გაიღოს რუსთაველის საზოგადოებამ, საქართველოს დემოგრაფიულმა ფონდმა, სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მეტად საჭირო ღონისძიებას აქტიურად დაუჭირა მხარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. იგი დიდ წვლილს შეიტანს ჯავახეთის სოფლების აღდგენა-აღორძინებაში.

კომისიამ იმსჯელა აგრეთვე ახალქალაქის რაიონის ქართულ სოფლებში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების პროგრამის პროექტში წარმოდგენილი სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ რაიონის ცენტრიდან სოფელ ჩუნჩხამდე და სოფელ გოგაშენამდე მოსაფალტებული გზების გაყვანას, სოფლების სასმელი წყლით უზრუნველყოფას, სოფელ ჩუნჩხასა და პტენაში ქვის დასამუშავებელი კოოპერატივების გახსნას, სოფელ კოთელიაში გრუნტის წყლებით დაზარალებული 18 ოჯახისათვის რიგგარეშე სამშენებლო მასალის გამოყოფას და ამავე სოფელში სკოლის მშენებლობის დაჩქარებას, მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების არსებით გაუმჯობესებას და სხვ. კომისიაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში ფართოდ გაშუქდეს ახალქალაქის რაიონის ქართული სოფლების ცხოვრება, სატკივარი, მწვავე საკითხები, პროპაგანდა გაეწიოს ამ სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის დასახული ღონისძიებების მნიშვნელობას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდულ პრობლემებს.

კომისიის მიერ განხილული წინადადებები შესწავლისა და დახუსტების შემდეგ წარედგინება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიამ იმსჯელა რაჭის დემოგრაფიულ პრობლემებზეც, ამასთან, მიგრაციული პროცესების შეჩერებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დამკვიდრების მიზნით გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია შემუშავდეს კომპლექსური ღონისძიებები, განხორციელდეს აქტიური დამოგრაფიული პოლიტიკა. (საქინფორმი).

ალექსი ჯონუა

მრავალეროვნულმა საბჭოთა ლიტერატურამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ნიჭიერი აფხაზი პოეტი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, სკკპ წევრი ალექსი ნესტორის ძე ჯონუა.

ა. ნ. ჯონუა დაიბადა 1920 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუში. დიდი სამამულო ომის პირველი დღიდანვე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, იყო პარტიზანული მოძრაობის მონაწილე ვინიცის ოლქში. დემობილიზაციის შემდეგ ა. ნ. ჯონუამ განაგრძო სწავლა, რომელიც ომმა შეაწყვეტინა, — დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1947 წლიდან ა. ნ. ჯონუა მუშაობს სოხუმის სახელმწიფო პედახსწავლებლის აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ამასთანავე მოღვაწეობს აფხაზეთის მწერალთა კავშირში. თითქმის თხუთმეტი წელი მოახმარა მან გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქციას, იყო ყურნალ „ალაშარას“ პასუხისმგებელი რედაქტორი.

1966 წლის ა. ნ. ჯონუა დაინიშნა აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრად. ამ წლებში მისი ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა აფხაზეთში განათლების სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის. 1978-1984 წლებში ა. ნ. ჯონუა მუშაობდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსად. 1984 წლიდან აირჩიეს აფხაზეთის მწერალთა კავშირის მდივნად, 1986 წელს — აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად, არჩეული იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის წევრად.

ალექსი ჯონუა სიჯაბუკის ლექსები პრესაში გამოჩნდა 1938 წელს, ხოლო 1949 წელს გამოვიდა მისი პირველი კრებული „დილის სხივები“. მას შემდეგ ჯონუას ნაწარმოებები გამოდიოდა როგორც აფხაზურ, ისე ქართულ, რუსულ და სსრ კავშირის ხალხთა ენებზე. ავტორს ფართოდ აღიარება მოუტანა სოხუმში, თბილისში, მოსკოვში გამოცემულმა კრებულებმა „სამშობლოს საკეთილდღეოდ“, „ფიცი“, „ნაკადი“, „ჩხრიალა წყარო“, „ზვალინდელ დღეს“, „გაზაფხული“, „ჩემი იმედი“ და სხვებმა.

ნაირგვარი და მრავალფეროვანია მწერლის პალიტრა: მისი ლექსები, პოემები, მოთხრობები, საინტერესო პუბლიცისტიკური სტატიები და ნარკვევები ეძღვნებოდა მშობელი აფხაზეთის წარსულსა და აწმყოს, სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას, მშვიდობისათვის ბრძოლას. ა. ჯონუა ... ...



ესტრადა

ბოუშრი რიტმების სიკისკასე

რამდენიმე დღეა, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზს ბოშური სიმღერებისა და ცეკვების თავბრუდამხვევი ჰანგები ავსებს. თბილისს სტუმრობენ მსოფლიოში ერთადერთი ბოშათა მუსიკალურ-დრამატული თეატრის, „რომენის“ მსახიობები სახელგანთქმული ნიკოლოზ სლიჩენკოს ხელმძღვანელობით.

...სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ თეატრის ვირტუოზი მეგიოლინე ალექსანდრე იაკულოვი, სტეპის (ჩეჩოტკა) ოსტატი, მთავარი ბალეტმაისტერი სერგეი ვერბიცკი, ოლგა იანკოვსკაია, ნადეჟდა ზოლოტარიოვა და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი სვეტლანა იანკოვსკაია, რომლებმაც რუსული რომანსები და ბოშური სიმღერები შემოგვთავაზეს. რაც შეეხება თეატრის მთავარ რეჟისორს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ნიკოლოზ სლიჩენკოს, მას ბევრი მიზეზი ჰქონდა თბილისში განსაკუთრებული მონდომებით ემღერა.

— ეს მშვენიერი ქალაქი, — თქვა მსახიობმა, — ყოველთვის განსაკუთრებულად მახსენებს თავს. სხვა რომ არაფერი, სწორედ თბილისში 1960 წელს ჩაეყარა ჩემს ოჯახს საფუძველი. ამას სულ არ ვთვლი შემთხვევითობად, საქართველოში ხომ ოჯახის, ბავშვების გასაოცარი კულტია. საქართველოსადმი ჩვენი კეთილგანწყობის ერთი დადასტურება ისიც იქნება, რომ 1991 წელს — თეატრის 60 წლისთავის საიუბილეო დღეებში გვიხდა ვაჩვენოთ ედგარ ეგბის აქამდე ტაბუდადებული პიესა — „ბრმები“. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ღვაწლი დასდო „რომენს“ ამ ნაადრევად გარდაცვლილმა ნიჭიერმა შემოქმედმა...

წარმოდგენის კულმინაცია იყო სცენაზე ყვავილების თაიგულით ხელში ასული პატარა ქართველი გოგონა. ბოშა ქალის ტანსაცმელში დამოწყობილმა რვა წლის თეკლა ჯანელიძემ საცეკვაო ილეთების ისეთი მრავალფეროვნება გვიჩვენა, ისეთი ცეცხლი დაანთო, ოსტატებს შუბრდებოდათ.

მაყურებელმა დიდი ქმაყოფილებით დატოვა ფილარმონიის დარბაზი. მადლობის მეტი არა გვეთქმის რა საქართველოს კულტურის ფონდთან არსებული კლუბის — „ხელოვნება და სპორტის“ ხელმძღვანელის მიხეილ ჯოჯუასადმი, რომელიც ნიკოლოზ სლიჩენკოს თბილისური შემოქმედებითი საღამოების უშუალო ორგანიზატორია.

ზაზა ალექსიძე.

▼▼

სურათებზე: მღერის ნიკოლოზ სლიჩენკო; ქართველი გოგონა თეკლა ჯანელიძე ასრულებს ბოშურ ცეკვას.

ზაზარ ლომაძის („კომუნისტი“) ფოტო.

სენთან საბრძოლველად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა სისხლის მიკროცირკულაციის რესპუბლიკური საზოგადოება. მისი ამოცანაა გაერთიანოს მეცნიერთა და პრაქტიკოს ექიმთა ძალისხმევა სისხლის მიმოქცევის დარღვევათა შესწავლასა და მის შედეგებთან ბრძოლაში.

ახლახან გამართულმა საზოგადოების დამფუძნებელმა კრებამ თავის პრეზიდენტად აირჩია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მიკროცირკულაციური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი მჭედლიშვილი.

— საზოგადოების შექმნის საკითხი დიდი ხანია მომწიფდა, — თქვა მან საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას, — ცნობილია, რომ სისხლის მიკროცირკულაცია განსაზღვრავს არა მარტო ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, არამედ მისი სიცოცხლის შანსებსაც. ამ პროცესის დარღვევა გადამწყვეტ როლს ასრულებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ისეთ გავრცელებულ დაავადებათა წარმოშობაში, როგორიც არის იშემია, ტვინის ინსულტი, ჰიპერტონია და სხვა. „საუკუნის დაავადებათა“ წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ მაშინ წარიმართება წარმატებით, თუ მჭიდრო კონტაქტი ექნებათ დამყარებული მეცნიერებსა და პრაქტიკოს ექიმებს. ჩვენი ძირითადი ამოცანაა შევიმუშაოთ დიაგნოსტიკისა და სნეულებათა მკურნალობის ახალი მეთოდები.

(საქინფორმი)

სპორტული ცხოვრება

გუდაურის თოვლიან ბილიკებზე

გუდაურში დაიწყო სამთო-მოთხილამურე ქალთა ევროპის თასის გათამაშების ბოლოსწინა ეტაპის შეჯიბრება, რომელშიც 13 ქვეყნის 50-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობს. სტუმრები მოხიბლულნი დარჩნენ ჩვენი სამთო-სათხილამურო ცენტრით, თუმცა უამინდობის გამო ასპარეზობის სტარტი ერთი დღით გადაიდო.

პროგრამის პირველ სახეობაში უძლიერესი იყო 17 წლის რიგელი სპორტსმენი ულე ლოძინია, რომელმაც სწრაფდაშვების 2800-მეტრიანი ტრასა 1 წუთსა და 47,43 წამში დაფარა. მეორე ადგილზე გავიდა ავსტრიელი მარიკა დაკსერი (1.47,56), მესამეზე — საბჭოთა მოთხილამურე ვარვარა ზელენსკაია (1.48,89).

საკონტროლო შეჯიბრებაში სხვებთან ერთად სამი თბილისელი სპორტსმენიც (თამარ მიქელაძე, ეკა ედიშერაშვილი და სოფია მალოვიჩკო) გამოვიდა. მათი შედეგი ლიდერებისას ჩამორჩებოდა, თუმცა სპეციალისტებმა ახალგაზრდა მოთხილამურეებს კარგი მომავალი უწინასწარმეტყველეს.

მინიფეხბურთი

თბილისის საერთაშორისო

ასე თუ გაგრძელდა, თბილისი მალე იქცევა ჩვენი ქვეყნის ერთ ძლიერ ცენტრად მინიფეხბურთში — გახშირდა ტურნირები და არც ჩვენი ფეხბურთელები ირცხვენენ თავს. ნამდვილად არ გახლავთ ურთიერთსიტკბილობა — ამ თამაშს მოწყალე ღიმილით აღარავინ უყურებს, მინიფეხბურთის მიმართ მაქსიმტერესს იჩენენ, შარშან კი, მოგეხსენებათ, მსოფლიო ჩემპიონატიც გაიმართა.

ჩვენ სპორტის სახახლეს, მინიფეხბურთელთა ტურნირების ხშირ მასპინძელსაც „საფეხბურთო სალონის“ საკმაო გამოცდილება დაუგროვდა, თუმცა, ისეთი მასშტაბის შეჯიბრება, მინიფეხბურთელთა თბილისის საერთაშორისო ფესტივალი რომაა, აქ პირველად ეწყობა. შეგახსენებთ, რომ დღეიდან სპორტის სასახლის სარბილი დაეთმობათ ზაარბრიუკენელ, ბილბაოელ, სოფიელ, ლიუბლიანელ, პოზნანელ, ინსბრუკელ, კიეველ, მოსკოველ, ბაკოელ, ერევნელ, სოხუმელ, ბათუმელ და თბილისელ ფეხბურთელებს.

რეპლიკა

პატივი ვცეთ მაყურებელს

ეს რეპლიკა კარგა ხანია სარედაქციო პორტფელში დევს, მაგრამ დაბეჭდვა არ გვიჩქარია. იმედი გვქონდა, თბილისის „დინამოს“ სტადიონის დირექცია ყურადღებას მიაქცევდა ფეხბურთზე შესასვლელი ბილეთის უკანა მხარეს დართულ წარწერას და ახალი სფეხბურთო სეზონისათვის მაინც გამოასწორებდა ადრინდელ შეცდომას, მაგრამ ასე არ მოხდა.

დაკვირდით ამ წარწერის შინაარსს: 1. ბილეთი შეინახეთ შეჯიბრების ბოლომდე და წარმოადგინეთ პირველი მოთხოვნისთანავე; 2. სტადიონიდან გამოსვლისას ბილეთი ძალადაკარგულად ითვლება; 3. საფეხბურთო თამაშორეზე და სარბენ ბილიკზე გასვლა სასტიკად აკრძალულია; 4. პირები, რომლებიც არ დაემორჩილებიან ამ წესებს და კონტროლიორთა მითითებებს, ჯარიმდებიან და გაძევებული იქნებიან სტადიონის ტერიტორიიდან. (სხვათა შორის, ეს ყველაფერი რუსულად წერია).

საიდან ასეთი ბრძანებლური ტონი? კაცი საყვარელი გუნდის საქომაგოდ მოვიდა, საკმაოდ ძვირადღირებული ბილეთი შეიძინა, სტადიონის დირექცია კი თითს უქნევს და ეშეკრება, თუ ჭკვიანად არ მოიქცევი დაგაჯარიმებ, გაგაძევებ და გაგაძევებო.

წარმოიდგინეთ, ოპერაში რომ გაგაფრთხილონ, სცენაზე ნე ახვალთ, თორემ ამას და ამას გიზამთო. სტადიონი, მართალია, ოპერა არ არის, მაგრამ აქაც ადამიანები დადიან და მათ ადამიანურად უნდა მოვეპყრათ, თუმცა, რა თქმა უნდა, წესრიგის დამრღვევსაც თავისი უნდა მივუზიდოთ.

ერთი სიტყვით, ზემონახსენები წარწერა შეურაცხმყოფელია და სასწრაფოდ შესაცვლელი (ლბათ აჯობებს, გულშემატკივრებს გავაცნოთ სტადიონის გეგმა, აქ განლაგებული მომსახურების ობიექტები). ჩვენი აზრით, შესაცვლელია აღმოსავლეთ ტრიბუნის ქვემოთ განლაგებული სარეკლამო ფირნიშებიც, რომლებზედაც ასევე იგნორირებულია ქართული ენა.

ელგუჯა ბერიშვილი.

პირველი ოფიციალური...

გუშინწინ კვლავ ახმაურდა თბილისის „დინამოს“ სტადიონი. გაიმართა ახალი სეზონის პირველი ოფიციალური მატჩი: თბილისის „დინამო“ — მინსკის „დინამო“. პირველ ტაიმში, 35-ე წუთზე ანტონოვიჩის მიერ გატახილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ჩვენმა სტუმრებმა. ამ შეხვედრის შედეგითა და, რაც მთავარია, თბილისელთა თამაშის ხარისხით ცხადია, უკმაყოფილონი დარჩნენ ფეხბურთის გულშემატკივრები. ჩვენს გუნდში, როგორც ცნობილია, ახლა ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოდიან და მათ თამაშში ჯერ კიდევ იგრძნობა სიმწყობრე და მიზანსწრაფვა. არადა, წინ არის საპასუხისმგებლო სეზონი, რომელსაც იმედით ელიან თბილისის „დინამოს“ ქომაგნი.

გუშინწინ თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გაბელია, თეთრაძე, თედეევი, ჭედია, არზიანი, აფციაური (ფანცულაია), სვანაძე, ცვეიბა (ყველაშვილი), ცაავა, კაჭარავა (ქეცბაია), გოგიჩაშვილი.

მკითხველმა მოგვწერა

ქრონიკა-ინფორმაციის „ფანდა“ გასწორდეს

ეჭვი არ გვეპარება, რომ სპორტული გუნდებისა თვის ხატოვანი, ლამაზი სახელების შერჩევის აუცილებლობას აყენებს თანამედროვე ცხოვრება. ძნელი წარმოსადგენია XXI საუკუნეში „დინამოებით“, „ტორპედოებითა“ და „ლოკომოტივებით“ შეხვლა. ამიტომ რაც უფრო ადრე მოხდება ეს ცვლილება, უკეთესი იქნება. ანდა, განა არ ჯობდა უკვე 1981 წელს თბილისელი ფეხბურთელების გუნდს მისთვის შესაფერისი, ღირსეული სახელწოდება ჰქონოდა? ნუთუ ვინმეს მართლა ჰგონია, რომ „დინამოს“ და „ტორპედოს“ უფრო მეტი და საამაყო „ტრადიცია“ და „ისტორია“ აქვს, ვიდრე „აიას“, „კრილბეთს“ ან „იბერიას“? ვითომ არ დადგა ჩვენში მსგავსი გაუკუღმართებული „ტრადიციების“ უკუგდების ხანა? „დინამო“, „ლოკომოტივი“, „ტორპედო“, „ტრაქტორი“ და სხვა მისთანანი ხომ სპორტულ გუნდებს 20-30-იან წლებში ეწოდათ, ნაჩქარევი ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში, რაც დღეს უკვე ანაქრონიზმებად აღიქმება. სხვა საქმეა, რომ უური ისე შეეჩვია ამ სახელებს, თუ საგანგებოდ არ ჩავუფიქრდით მათ მეშმარიტ მნიშვნელობას ვეღარც კი ვამჩნევთ.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ამ სახელწოდებების შინაარსი: სახელდობრ, სიტყვა „დინამო“ გარდა სპორტული საზოგადოების სახელწოდებისა და გავრცელებული ჟარგონული ტერმინისა აღარც კი გამოიყენება. იგი ნაწარმოებია ბერძნული სიტყვიდან („ძალა“) და დღეს გვხვდება როგორც პირველი შემადგენელი ნაწილი რთული სიტყვებისა (მაგ. დინამომეტრი). საკუთრივ სიტყვა „დინამო“ ანუ „დინამო-მაჩქანა“ იხმარებოდა მუდმივი დენის გენერატორის აღმნიშვნელად.

„ტორპედო“ წარმოსდგება თევზის — „ელექტრული სკაროსის“ ლათინური სახელწოდებიდან, ამავამად ეწოდება „სიგარის ფორმის წყალქვეშა ჭურვს“. მისი ლათინურიდე ომონიმი, დადასტურებული ჯერ კიდევ ლათინელ მწერლებთან კატონთან, სალუსტიუსთან და ტაციტუსთან აღნიშნავს „გაშშეშას, გაშტირებას, გამოთაყვანებას, უმოქმედობას, უძრაობას, მოდუნებას“ (მედიცინაში გამოყენებული ტერმინი „ტორპიდული“), ანუ ყველაფერს იმას, რაც სარკასტულ მნიშვნელობას იძენს სპორტული გუნდის სახელწოდებისათვის.

ასე რომ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, ანუ ძველი იბერიისა და კოლხეთის ცენტრების — თბილისისა და ქუთაისის ფეხბურთელთა უპირველესი გუნდების სახელწოდებებად დღეს გვაქვს „გენერატორი“ (იგივე „დინამო“) და „წყალქვეშა ჭურვი“ (იგივე „ტორპედო“).

ყველაზე უფრო უცნაური მაინც ის არის, რომ ქუთაისის გუნდის სახელწოდება — „ტორპედო“, როგორც ჩანს, გაუგებრობის შედეგად არის აღნიშნული და შემორჩენილი. გარდა იმისა, რომ ეს გუნდი სპორტსაზოგადოება „განთიადს“ ეკვემდებარებოდა, თვით ქუთაისის ავტოქარხნის სპორტკლუბის სახელწოდება იყო და დღესაც არის „კოლხიდა“ (?!).

როგორც ირკვევა, სულაც არ ყოფილა სავალდებულო ყველა ავტოქარხნის გუნდს აუცილებლად „ტორპედო“ რქმეოდა — მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის გუნდის მსგავსად. ქალაქ გორკის ავტოქარხნის ფეხბურთელთა გუნდს „ვოლგა“ ეწოდება, ხოლო მოსკოვის ლენინგრადის ლენინის სახელობის ავტოქარხნის წყალბურთელთა კოლექტივს — „მოსკვიჩი“. საგულისხმოა, რომ ქართველ ფეხბურთელთა ყველა წამყვანი გუნდის სახელი მოსკოვის საუკეთესო გუნდების სახელწოდებებს იმეორებდა, მაგალითად — თბილისის დინამოელებისა, სპარტაკელებისა, არმიელებისა, ლოკომოტიველებისა, ქუთაისის ტორპედოელებისა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ძირითადად, ისევ ჩვენივე პროვინციული მიმბაძველობით უნდა აიხსნას.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდისათვის სახელის გადარქმევის საკითხი რეალურად შეიძლება დაისვას მხოლოდ ამჟამად — დამოუკიდებელ სპორტულ კლუბად მისი ჩამოყალიბების შემდეგ...

თავისთავადი, ისტორიული შინაარსის მატარებელი სახელწოდებების გამოყენება დღევანდელ ვითარებაში — სპორტული გუნდების თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მრავალი საკითხის მომტანია. იბერიას, კოლხეთს, აიას, კავკასიონს, არგონავტებისა და პრომეთეოსის მითებს მრავალ ქვეყანაში ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან ეცნობიან. რაოდენ ფართო პერსპექტივა შეექმნებათ მაყურებელთა მისაზიდად ჩვენს გუნდებს იბერიისა და კოლხეთის ისტორიის, არქეოლოგიური მონაპოვრების, მატერიალური კულტურის ძეგლებისა და ძველბერძნული მითების წყალობით. რა დიდი ინტერესის გამომწვევი იქნება მსოფლიოს ყველა მხარეში მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ატრიბუტიკა (თუნდაც პროგრამების, ბუკლეტებისა და სუვენირების სახით). ამ მხრივ ჩვენს სპორტულ კლუბებს მართლაც რომ უნიკალური შესაძლებლობები მიეცემათ. თავის მხრივ ჩვენი გუნდებიც საქართველოს ისტორიისა და კულტურის პრომაგანდისტებად მოგვევლინებიან საკავშირო და მსოფლიო ასპარეზზე.

სახურველია ყურადღება მიექცეს საქართველოს სხვა წამყვანი სპორტული გუნდების სახელწოდებებსაც.

რამდენი გულშემატკივარიც არის, იმდენი წინადადებაც იქნება, მაგრამ მთავარია ყინული გალღვეს, პირველი ნაბიჯი გადაიდგას.

გიორგი ქავთარაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ორშაბათი

6 მარტი

პირველი პროგრამა. 16.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სახლი, რომელშიც მე ვცხოვრობ“. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 17.00 — დოკუმენტური ფილმი „ღამე ბნელი იყო“ (პირველი ჩვენება). 17.30 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 18.00 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 18.10 — მოსწავლეთათვის. „ამაგდარი“. 18.30 — განცხადებები. 18.35 — „თუ კაცი გონიერია“... (სოფელ ბოდბისხევის კულტურული ცხოვრება). 19.25 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.00 — მოამბე. 20.35 — „სიმართლე და სამართალი“ (ყვარლის რაიონში მიწების მიტაცების შესახებ). 21.00 — შემოქმედებითი პორტრეტები — ნაზი კეჭეყმაძე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — არჩევნების შესახვედრად (მ.). 22.50 — კომპოზიტორ ა. ჩიმაკაძის ვოკალური ნაწარმოებები. 23.50 — სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში: თბილისის „დინამო“ — ლვოვის „დინამო“.

მეორე პროგრამა. 9.35 — სატელევიზიო დადგმა „მაჩვები“. I, II და III სერია. 14.15 — ქართული მხატვრული ფილმი „საფეხურები“.

სამშაბათი

7 მარტი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.20 — „ათლეტიზმი“. 14.50 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „პირველი დამფუძნებელი“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (განმეორებით). 17.20 — განცხადებები. 17.25 — მოსწავლეთათვის. ფანტაზია და მარჯვე ხელები. 18.00 — ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა მოსკოვის დიდი თეატრიდან და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. 20.30 — მოამბე. 21.05 — „განვიხილავთ კანონპროექტს ხარისხის შესახებ“. 21.45 — ხალხური შემოქმედება. „მღერის „თარიკონი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — ახალგაზრდების ზეიმი პოეზიის თეატრში.

მეორე პროგრამა. 9.35 — სატელევიზიო დადგმა „ვარშავული მელოდია“. 11.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გოგიტა“. 12.20 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 12.50 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.20 — „ათლეტიზმი“. 14.50 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.20 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ალდგომა“.

ოთხშაბათი

8 მარტი

პირველი პროგრამა. 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დედა თინა“. 10.00 — „დილა მშვიდობისა!“ მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — მულტიპლიკაციური ფილმი — „ბურიონკა მასლიოწკინოდან“. 11.15 — „კინომოზაიკა“. 11.55 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 12.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე—ქართული მხატვრული ფილმი „ორომტრიალი“. 14.05 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.10 — საესტრადო კონცერტი „ღმერთო სიყვარულისა“. 15.10 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — მოსწავლეთათვის. „აბა, დელია!“. 16.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.15 — „ნეტავი შვილთა მრავალთა“. 16.35 — „გინვეავთ საკონცერტო დარბაზებში. მღერის მ. ძიძიგური. 17.40 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“. 18.45 — შეხვედრა ქართველ კომპოზიტორ ქალებთან. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „სარვამარტო“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ქალი ყოველთვის მართალია!“ — სადღესასწაულო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა (მ.).

ხუთშაბათი

9 მარტი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 14.20 — „ათლეტიზმი“. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მონოლოგი“. 16.10 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.20 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 16.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაპამის კუნძულები“. 17.00 — ტელეეურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.30 — გარდაქმნის წახნაგები. „გრძელი დღე“. 18.30 — განცხადებები. 18.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ზღვარი“ (პირველი ჩვენება). 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — წერილის დღე. „გმადლობთ, ოსტატო!“ 20.40 — პოეზია. მირიან მირნელი. 21.20 — წერილის დღე. „გმადლობთ, ექიმო!“. 21.25 — „აუქციონის მისაღები“. 21.45 — წერილის დღე. „გმადლობთ, მშობლებო!“ 21.50 — არჩევნების შესახვედრად. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — არჩევნების შესახვედრად. 22.50 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „მაპატიე“.

მეორე პროგრამა. 9.35 — მხატვრული ფილმი „დაუმთავრებელი პიესა მექანიკური პიანინოსათვის“. 11.20 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 11.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბილიკი ცაში“. 12.30 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — „ათლეტიზმი“. 16.00 — „ქართული ენა. 10.30 — „ათლეტიზმი“. 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.30 — „ვერნისაჟი“ — ქურთ მხატვართა გამოფენაზე. 12.10 — ხალხური შემოქმედება. „ქართული სიმღერის ოსტატები“ (ვლ. ბაბილაზე). 12.45 — დოკუმენტური ფილმი „უფსკრული“. 13.05 — „ამღერებული ლექსი“ (განმეორებით). 14.10 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი — „სახლობანა“. 14.20 — მოსწავლეთათვის. „მხიარული შეჯიბრება“. 15.10 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — „ბლობუსი“. 16.10 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეთვრამეტისათვის. 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმი „ფისუნია ჟენიაზე“. 17.10 — ხელოვნების ლექტორიუმი — რაფაელი (მეორე გადაცემა). 17.40 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: თბილისის „დინამო“ — კიევის „დინამო“. რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. შესვენების დროს (18.45) — „ძილისპირული“. 19.50 — მოამბე. 20.25 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა. მხატვრული ფილმი „გიორგობისთვე“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ტელემაყურებლის თანამგზავრი (მ.). 23.00 — მუსიკალურ-გასართობი პროგრამა „ტელესკოპი შოუ“ (საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ტელევიზიის ერთობლივი გადაცემა (მ.).

ქვირა

12 მარტი

პირველი პროგრამა. 10.15 — მღერის „მართვე“ (ხელმძღვანელი რუსთაველის პრემიის ლაურეატი ა. ერქომაიშვილი). 11.00 — გარდაქმნის ნახნაგები. „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — კინოაფიშა. 11.55 — „თვალსაწიერი“. 12.45 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.15 — საკვირაო გამოფენა. რუსთაველის პრემიის ლაურეატი ჯ. მიქატაძე. 13.20 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 13.50 — ვესტნიკი. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 14.50 — საკვირაო გამოფენა. ჯ. მიქატაძე. 14.55 — უფროსკლასელთათვის. „ჩვენი ჯაზ-კლუბი“. 15.55 — საკვირაო გამოფენა. ჯ. მიქატაძე. 16.00 — საერთაშორისო ტურნირი მინი ფეხბურთში. 16.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფერთა სიმფონია“. რუსთაველის პრემიის ლაურეატი ს. ვირსალაძე. 17.30 — „პოეზია“. კითხულობს რუსთაველის პემიის ლაურეატი გ. ხარაბაძე. 18.35 — „ვულოცავთ!“ — რუსთაველის პრემიის ლაურეატი ა. ერქომაიშვილი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.30 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. დირიჟორი რუსთაველის პრემიის ლაურეატი ოდისეი დიმიტრიადი... 21.10 — ქართული მხატვრული ფილმი „ალავერდობა“ (რეჟისორი რუსთაველის პრემიის ლაურეატი გ. შენგელაია). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გამარჯობათ, ექიმო!“ (მ.). 22.55 — „პოეზია“. რუსთაველის პრემიის ლაურეატი მუხრან მაჭავარიანი.



ბესიკ ზუბაშვილის ნახატი.

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

— აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 14.20 — „ათლეტიზმი“. 14.50 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ნადირობა“.

პარასკევი

10 მარტი

პირველი პროგრამა. 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი სტადიონი“. 16.10 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.20 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.50 — საბავშვო-იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში“. 17.00 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია. 17.30 — „მეგობრობის მერიდიანზე“. 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმი — „ქვის მუსიკოსები“. 18.25 — შუქნიშანი. 18.40 — განცხადებები. 18.50 — „მწუხარე იყო ვით გლოვის ზარი“ (განმეორებით). 19.20 — ხალხური შემოქმედება. ქართული გამოყენებითი ხელოვნების სადღეისო პრობლემები. 20.00 — მოამბე. 20.35 — არჩევნების შესახვედრად. 20.50 — გარდაქმნის ნახნაგები. 21.50 — საქართველოს სანაოსნო-ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — არჩევნების შესახვედრად (მ.). 22.50 — „ილუზიონი“.

მეორე პროგრამა. 9.35 — სატელევიზიო დადგმა „ვასილ ტიორკინი“. 11.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბალადა თეთრ ფაფარაზე“. 12.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „როსტოვული ეტიუდები“ (პირველი ჩვენება). 13.05 — „ნაშუადღევს“. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.20 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გზაანბნეული“.

შაბათი

11 მარტი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „აკაირო“. 10.00 — 18.10 — ახალგაზრდობისათვის — „მხატვარი ტელევიზიაში“. 19.45 — „ძილისპირული“. 20.00 — მოამბე. 20.35 — „კინოფანტაზია“. 21.00 — ახალგაზრდობისათვის „რა არის“ კა“. 21.20 — „ჰე, მამულო გრნობა შენი მოვლისა... 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კომპოზიტორ ა. ჩიმაკაძის ვოკალური ნაწარმოებები. 23.40 — წყალბურთი.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.15 — რტმული ტანვარჯიში. 0.45 — „სპორტლოტო“. 10.00 — „დილაადრიანან..“. საბავშვო გადაცემა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მსოფლიოს გარშემო. 13.30 — მხატვრული ფილმები. 14.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 15.10 — მუსიკალური კიოსკი. 15.40 — ღია კარის დღე. 16.40 — კინოაფიშა. 17.40 და 20.15 — მულტფილმები. 18.00 — სოფლის საათი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — საფეხბურთო მიმოხილვა. 20.55 — მხატვრული ტელეფილმი „მონა იზაურა“. XIII სერია. 22.00—„ვრემია“. 22.40 — გამარჯობათ, ექიმო! 22.55 — მუსიკალ[illegible] [illegible]მა ავსტრიიდან. 0.40 — მძლეოსნობა. [illegible] მპიონატი. 1.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — მხატვრული ფილმი „მალტიცას ცოდვა“. 10.40 — ბალადურთა კულტურის სახლის ხალხური საგუნდო კაპელის კონცერტი. 11.05 — დაღესტნის ასსრ სახელოვნადიო. 11.50 — ეკრანზეა 01-ის სამსახური. 12.25 — საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის ს. სტადლერის (ვიოლინო) კონცერტი. 13.15 — რეტრო. გადაცემა ხანდაზმულთათვის. 14.15 — „მოსკოვი — ვაშინგტონი: ფუტუროლოგთა შეხვედრა“. 17.25 — თქვენ გეპატიჟებათ ცენტრალური ტელევიზიის ახალგაზრდული რედაქცია. პირველი ნაწილი. 19.30 — ვიმეორებთ თქვენი თხოვნით. შეხვედრა ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებელთან, ლატვიის სსრ №52 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორთან ე. ვ. კიდუსთან. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — ჩოგბურთი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. ვაუები. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გამარჯობათ, ექიმო! 22.55 — მხატვრული ტელეფილმი „ხის ხარბაზანი“. 0.10 — ახალი ამბები. 0.20 — თქვენ გეპატიჟებათ ცენტრალური ტელევიზიის ახალგაზრდული რედაქცია. მეორე ნაწილი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა დრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი
გიორგი გრიგოლის ძე ქავთარაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მიტინგი...

ეკოლოგიურ ვითარებაზე

ჩვენი საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის ნებისმიერ უბანზე, მართალია, ნელა და ძნელად, მაგრამ მაინც სულ უფრო მეტად იკრებს ძალას გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ცხოველმყოფელი პროცესი. და უწინარესად, სწორედ ამის შედეგია, რომ პირუთვნელი მსჯელობისა და საყოველთაო-სახალხო განხილვის საგანი ხ